კავშირი აღზრდის შესახებ შეხედულებებსა და კულტურის ინტერნალიზებულ მახასიათებლებს შორის

სალომე ოკუჯავა

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური ფსიქოლოგის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სოციალური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო სხირტლაძე

ფსიქოლოგიის დოქტორი, ასისტენტ პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სალომე ოკუჯავა

18.06.2021

აბსტრაქტი

კულტურის გავლენა ცხოვრების მრავალ ასპექტზე საკმაოდ დიდია. ერთ-ერთ ასეთ მახასიათებელს წარმოადგენს აღზრდაც. მიმდინარე კვლევის მიზანია შეისწავლოს, თუ როგორ წინასწარმეტყველებს კულტურის მახასიათებლები ჰორიზონტალურ-ვერტიკალური ინდივიდუალიზმი-კოლექტივიზმი აღზრდის შესახებ შეხედეულებებს - ავტონომიის მხარდაჭერას, ფსიქოლოგიურ კონტროლსა და დირექტიულ კონტროლს. კულტურის მახასიათებლების შესწავლა ინდივიდუალიზმი-კოლექტივიზმის სკალაზე მოხდა, ხოლო აღზრდის შესახებ შეხედულებები გაიზომა აღზრდის განზომილებების კითხვარით. 398 მონაწილისგან რაოდენობრივი კვლევის მეთოდით შეგროვებული მონაცემების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ვერტიკალური ინდივიდუალიზმი და ვერტიკალური კოლექტივიზმი დადებითად წინასწარმეტყველებს დირექტიული და ფსიქოლოგიური კონტროლის შესახებ შეხედულებებს. ჰორიზნტალურ ინდივიდუალისტური კულტურული ორიენტაციის შედარებით მაღალი მაჩვენებელი კი ფსიქოლოგიური კონტროლის შესახებ შეხედულებების უარყოფითი პრედიქტორი აღმოჩნდა. მრავლობითმა რეგრესულმა ანალიზმა ასევე აჩვენა, რომ ჰორიზნტალური ინდივიდუალიზმი დადებითად, ხოლო ვერტიკალური ინდივიდუალიზმი უარყოფითად წინასწარმეტყველებს შეხედულებებს ავტონომიის მხარდაჭერის შესახებ.

ძირითადი საკვანძო სიტყვები: აღზრდა, ავტონომიის მხარდაჭერა, ფიქოლოგიური კონტროლი, დირექტიული კონტროლი, კულტურის განზომილებები, ჰორიზონტალურ-ვერტიკალური, ინდივიდუალიზმ-კოლექტივიზმი.

Abstract

The impact of culture on many aspects of life is huge, one of such characteristics is parenting. The current research aim is to study how to predicte the cultural dimensions – horizontal-vertical individualism-collectivism the views on parenting - directive control, psychological control and autonomy support. Individualism–Collectivism Scales were used for cultural dimensions, but the views on parenting were measered by Parenting Dimensions Inventory. Based on the data collected by the quantitative research method with a total of 398 participants showed that vertical individualism and vertical collectivism positively predict the views on directive and psychological control. Horizontal individualistic cultural orientation was negatively predicted the views on parenting psychological control. Multiple regression analyses has also shown that horizontal individualism positively but vertical collectivism negatively predicted the views on parenting support.

Keywords: parenting, autonomy support, psychological control, directive control, cultural dimensions, horizontal-vertical, individualism-collectivism.

მადლობა

სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისას გაწეული დახმარებისათვის, გულწრფელი მადლობა მინდა ვუთხრა ჩემს ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს ნინო სხირტლაძეს. მისმა ფასდაუდებელმა შრომამ, ორგანიზებულობამ, დახმარებისთვის მუდმივად მზაობამ, უკუკავშირებმა და გაზაირებულმა მასალებმა ბევრად უფრო გამიმარტივა სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესი.